

ლაზონის ბამოქანებით

მობილური ჩატარები

კვირი 7 ღლა, 24 სთ
ბარევიცხოვი



შემოზის ქ. #14

ტელ.: 218-33-18; 291-72-10

მობ: (5 68) 61-00-61

www.vistamedi.ge



239 00 00
295 00 00
232 05 05
(599) 55 34 44



ტროკონინი

მიმკარლიუმის ინფარქტის მარქინი



№3, 2012

ტროპონინის ტესტის მნიშვნელობა მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში

როდის გამოიყენება?

ტროპონინის ტესტი პირველ რიგში, საჭიროა იმ პაციენტებისთვის, რომელთაც ჰქონდათ ტკივილი გულ-მკერდის არეში, რათა დადგინდეს, ეს ტკივილი გამოწვეული იყო თუ არა გულის კუნთის იშემიური დაზიანებით. ტროპონინის ტესტი გვეხვება მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკაში. ტროპონინის ტესტის რაოდენობრივი განსაზღვრა გვაწვდის აგრეთვე ინფორმაციას, მიოკარდიუმის დაზიანება მოცულობით დიდია თუ მცირე. თუ პაციენტმა გულის არეში დისკომფორტს ან ტკივილს რამდენიმე დღე უურადღება არ მიაქცია, ასეთ დროს ტროპონინის ტესტი საუკეთესო საშუალებაა გულის დაზიანების დასადგენად ან გამოსარიცხად, რადგან ტროპონინი სისხლში მომატებული 10 დღის განმავლობაში რჩება. თუ ტკივილიდან (შეტევიდან) 10 დღეზე მეტია გასული, ტროპონინის ტესტიარაინფორმაციულია.

ტროპონინის ტესტი პირველად კეთდება მაშინ, როდესაც პაციენტი სავარაუდო გულის იშემის სიმპტომებით ხვდება ჰოსპიტალში. 6-9 საათის შემდეგ ხდება ტესტის გამოირება (ESC 2011 Non STEMI Guideline). ასევე სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეჭვი გულის იშემიურ დაავადებაზე, ტროპონინის ტესტი საუკეთესო საშუალებაა დიაგნოზის დასასმელად. ტროპონინის ტესტი ხშირად გამოიყენება სხვა ბიომარკერებთან ერთად (მაგ; კრეატინფოსფოკინაზა MB-ფრაგმია და მონგლობინი). თუმცა ტროპონინის ტესტს უპირატესობა ენიჭება მისი უფრო მაღალი სპეციფიკურობის გამო.

ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია

რადგან ტროპონინის ტესტი მაღალსპეციფიკურია, მისი მცირეოდენი მომატებაც განსაკუთრებით დინამიკაში, მიუთითებს მიოკარდიუმის დაზიანებას.

ტესტი აგრეთვე გამოირჩევა მაღალი სენსიტიურობითაც, უარყოფითი შედეგი (თუ ტესტი დროის ზუსტი დაკვირვებული) სრულიად გამორიცხავს მიოკარდიუმის დაზიანებას.

ტროპონინი მიოკარდიუმის დაზიანების შემთხვევაში დაახლოებით 10 დღის განმავლობაში სისხლში მომატებული რჩება.

ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ტესტის შედეგის ინტერპრეტაცია მოახდინოს ეჭიმა, რადგან ზუსტი დიაგნოზის დასადგენად საჭიროა დამატებით კვლევები (პაციენტის ისტორიის შეკრება და ელექტროკარდიოგრაფია).

კიდევ რა უნდა ვიცოდეთ?

ტროპონინი მატულობს მიოკარდიტების დროსაც. ასევე თირკმლის უკმარისობისა, ავტომიტური მიელოპათიების და მასიური პულმონური თრომბოემბოლის დროს.

